რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე თავ. მუხრან-ბატონის სახლში ... ქვემოდ.

ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

«დროების» ფასი

მთელის წლისა . . 9 მან. | სამის თვისა. . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. | ერთის თვისა. . . 1 მან.

დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა

სტრიქონზე რვა კაპ. განცხადება მიიღება ქართულს რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შემოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

ქუთაისის საქალებო წმ. ოლღის გიმნაზიისაგან.

ვაცნობებთ მშობლებს ამ გიმნაზიაში მოსწავლე ქალებისას, რომ მასალები და ხელ-ახლა დასაჭერი გამოცდა დაიწყება ამ წელს 20 აგვისტოდგან. ამიტომ ვთხოვთ მშობლებს მოიყვანონ თავისი შვილები აღნიშნულ დროს და მასთანვე შემოიტანონ ხვედრი სწავლის ფულებისათვის გადასახადი ფული. სწავლა დაიწყება პირველის ენკენისთვიდგან.

მოსწავლე ქალები, რომელნიც არ გამოცხადდებიან დანიშნულ დროს უპატივსადებ მიზეზოდ და ან არ შემოიტანენ სწავლის ფულებისათვის გადასახადს ფულს,—გიმნაზიიდგან გამოსულებათ ჩაითვლებიან. (3—1)

ქუთაისის პროგიმნაზიისაგან.

რადგან სივიწროვისა გამო შენობისა, რომელშიაც პროგიმნაზია თავსდება, შიგ მყოფთა შეგირდთა დატევაც სჭირს ამიტომ ამ წელს როგორც უმთავრეს (ОСНОВНОИ) ისე «პარალელურ» კლასებში ახალი შეგირდები არ მიიღებიან. არის მხოლოდ 30 ადგილი მოსამზადებელ კლასში. თუ, ვინიცობაა, ამ კლასში შემოსვლის მსურველთ რიცხვი აღემატა აღნიშნულ 30-ს., მაშინ მიიღებიან ისინი, ვინც დაიჭერს შეცილებით (конкурсный) გამოცდას. მისაღები გამოცდა დაიწყება 20 აგვისტოდგან.

გარდა ამისა, პროგიმნაზიის მთავრობა უმორჩილესად თხოვს მშობლებს, იმ შეგირდებისას, რომელნიც აქ სწავლობენ, რომ მათ დროით იზრუნონ, თავიანთ შვილებს ფორმის ტანსაცმელი შეუკერონ და სწავლის ფულებისათვის გადასახადი ფული დროზედ შემოიტანონ. (3—1)

თბილისი, 26 ივლისს.

ორშაბათს მიაბარეს შავს მიწას გვამი იმ კაცისა, რომელსაც ეხლა მთელი საქართველო მწუხარებითა და თანაგრძნობით იხსენიებს, როგორც ერთგულს მამულის-შვილს და საზოგადო საქმისათვის თავ-დადებულს. სერგეი მესხი გარდაიცვალა იმ დროს, როდესაც თითქმის ყველა დაწესებულება, ყველა სასწავლებლები ზაფხულის გამო გაუქმებულნი არიან და ყველა მისნი თანამგრძნობნი აქა-იქ სოფლებში დაფანტულნი, მაგრამ ჩვენმა საზოგადოებამ ზოგმა დასაფლავებაზედ თანა-დასწრებით, ზოგმა ტელეგრამებით, ზოგმა წერილებით მაინც გამოაცხადა ის გულწრფელი მწუხარება, რომელიც სერგეი მესხის სიკვდილმა ყველასა გულს მოჰფინა. სერგეი მესხის გარდაცვალების მესამე დღეს რედაქციას მოუვიდა ახალ-ციხიდამ შემდეგი ტელეგრამა:

ახალ-ციხე, 23-ს ივლისს. დღეს დილით ათ საათზედ, დიდ-ძალის ხალხის თანა-დასწრებით, გადახდილ იქმნა პანაშვიდი სერგეი მესხისათვის. კუბოზედ რამდენიმე გვირგვინი დაიდვა და სამი სიტყვა ითქვა. დეკანოზმა ტერ-სტეფანოვმა თავის ქადაგებით, ქართულად ნათქვამის სიტყვით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. რამდენიმე ოჯახმა მიცვალებული ზეკარამდის გააცილეს ახალ-ციხიდამ თერამეტ ვერსზე.

ქვემოთ მკითხველი წაიკითხავს დაწვრილებით ქუთაისში დასაფლავების ამბავს და ეხლა კი ზოგიერთა თანაგრძნობის ტელეგრამებს ვაცნობებთ:

ბათუმი, 23 ივლისს. ყველა ბათუმელი ქართველები ღრმა მწუხარებაში ჩავცვარა იმ კაცის გარდაცვალების ამბავმა, რომელიც ერთგული იყო საზოგადო საქმისა, პატიოსნად შრომობდა და თოთხმეტის წლის განმავლობაში შეუმწიკვლელად ხელმძღვანელობდა გაზეთს «დროებას». დღეს გადვიხადეთ პანაშვიდი განსვენებულის სერგეი მესხისათვის ბათუმელმა ქართველებმა და ვთხოვთ რედაქციას გამოუცხადოს ჩვენის მხრივ თანა-გრძნობა მიცვალებულის ოჯახს.

ნიკ. ერისთავი, დურმიშხან ყურული, ალექს. უაზბეგი, გრიგ. გაბაშვილი, მოსე ნათაძე, თომა ერისთავი, მელიტონ ლორთქიფანიძე, ნიკ. დუმბაძე, ალექს. გაბაშვილი, იულია ჩხეიძისა, გრაცია მჭედლიშვილისა, ლევან დადიშკელიანი, კოსტ. ზაქრაძე, დავით ჩხეიძე, იბრაგიმ, ისმაილ ახმეტ და ხუსეინ-ბეგი აბაშიძეები, ყარამან მგელაძე, გრიგოლ ფაღავა, ალექს. მახარაძე, იაგორ მახარაძე, სილიბისტრო გაშალოშიძე, დავით კლდიაშვილი, ლევან მჭედლიშვილი, გერასიმე ყოყიაშვილი.

გორი, 25 ივლისს. «დროების» რედაქტორის, ყველასაგან პატივცემულის სერგეი სვიმონის-ძის მესხის უდროოდ გარდაცვალებამ დიდს მწუხარებას მიგვცა. ვწუხვართ იმ კაცისათვის, რომელმაც თავის თავი ქვეყანას შესწირა.

ქვემო-ნიქოზის ახალგაზდობა.

ბათუმი, 24 ივლისს. «წერა-კითხვის საზოგადოების» სკოლა ბათუმში უზომოდ მწუხარებს უდროოდ გარდაცვალებულის, პატიოსანის მშრომელის და საზოგადოებისათვის მოღვაწე სერგეი მესხისათვის. მასში სკოლამ დაჰკარგა საუკეთესო თავის მოსარჩლე და კეთილ-მსურველთაგანი.

მასწავლებელი ნათაძე.

სერგეი მესხის დასაფლავება.

ჯერ სანამ დასაფლავებაზე ვილაპარაკებდეთ, აი რამდენიმე დაწვრილებითი ამბავი მისს უკანასკნელ ჟამებზე და გარდაცვალებაზე.

განსვენებული სამი კვირის წინად წავიდა აბასთუმანს, სახლობით. არც ერთს ექიმს არ ურჩევია მისთვის იქ წასვლა; ის თითონ გაექცა იმერეთის სიცხეს და როცა უკანასკნელად ავად გახდა, ექიმებმა გაიკვირეს მისი იქაურ წყლებზე მისვლა, რომელიც მისთვის მაწყინარიც იყო თურმე. 19-ს ამ თვეს ექიმმა გოპაძემ შეატყო, რომ რამდენიმე დღის სიცოცხლე-ღა დარჩენია. ამ დღიდამ გულის ტკივილმა და ხველამ უმატა. გარდაცვალების დღეს, დილას, ავად-მყოფი ცოტა მოსვენებულიყო, საჭმელიც მიიღო ცოტა, მაგრამ ნასაუზმევს აუტყდა ხველა და უკანასკნელს ჟამს მიაღწია. «აქ გასკდა რაღაც... გული გასკდა...» შესჩიოდა ის მის უმცროსს ძმას, რომელიც განუშორებლად იყო მასთან, «მიშველეთ, მიშველეთ...» როცა უკანასკნელად შემოვიდა მასთან ექიმი გოპაძე ავად-მყოფის დასამშვიდებლად, მან მოინდომა თბილი ვანნა და მდოგვის დადება, მაგრამ განსვენებულმა დაიწყო ყვირილი: «თავი მანებეთ, მაცალეთ მოვკვდეო.» ძილებ რამდენიმე წამი და გული სულ გაეღო; ავად-მყოფი გალურჯდა, ერთი შეჰყვირა ხმა მაღლა და იგრძნო რა უკანასკნელი წამი, გამოეთხოვა ოთახში მყოფთ: «მშვიდობით, მშვიდო...» და განუტევა სული.

22-ს განსვენებული აბასთუმანში ესვენა, სანამ თბილისიდამ ჩამოიტანდენ ტყვიის კუბოს.

23-ს, განსვენების წინად, ათ საათზე დიდი საზოგადოება შეკრბა პანაშვიდზე. აქ იყო წარმოთქმული სამი სიტყვა: ტერ-სტეფანოვისა, ბავრელისა და პოლოუბანსკისა. კუბო შეამკეს სხვა-და-სხვა გვარ გვირგვინებით, რომლის წარწერას ქვემოთ ვბეჭდავთ.

პანაშვიდის შემდეგ კუბო წაასვენეს ქუთაისს ზეკარის ვიწროებით. საზოგადოებამ კარგი მანძილი გააცილა. გზაზე, სადაც კი შეეტყოთ განსვენებულის გადაცვალება, ყოველგან ხვდებოდენ გვირგვინებით. ერთს ამ გვარ გვირგვინზე ვკითხულობთ ამ წარწერას:

«მესხეთის და ჯავახეთის გლეხთ მუშებისაგან. მათთვის თავ-განწირულს»...

ღამე სამგლოვიარო პროცესიამ ბაღდადს ჩამოაწია.

24-ს დილას, ათ საათზე, განსვენებული ჩამოასვენეს ქუთაისს. ბალახვანის ეკლესიასთან დაუხვდა ცხედარს მოხუცებული დედა და ახლო ნათესავები. იქიდამ წამოასვენეს პირ-და-პირ სობოროში, სადაც იყო დანიშნული წირვა და პანაშვიდი. ამ წირვაზე მრავალი ხალხი დაესწრო. საღამოს ჩამოვიდნენ დასაფლავებაზე დასასწრებლად რამდენიმე კაცი თბილისიდამ და იმერეთის სხვა-და-სხვა კუთხიდამ.

25-ს რვა საათზე, იყო დანიშნული პანაშვიდი და განსვენება მიცვალებულისა სოფ. რიონს, რომელიც ქუთაისიდამ რვა-ცხრა ვერსტზეა. დანიშნულ დროზე ხალხმა მოიყარა თავი ეკლესიაში და დაიწყო პანაშვიდი... მაგრამ ჯერ ვნახოთ ეს რა გვირგვინები აწყვია ცხედარზე, ვის გამოუცხადებია გასვენებულისთვის ამდენი თანაგრძნობა.

სხვა-და-სხვა გვარ ყვავილების და სხვა და სხვა ხელოვნებით გაკეთებულ გვირგვინებზე ვკითხულობთ:

— «მამულის ერთგულს შვილს და კეთილს მუშას. ახალ-ციხის მოქალაქე ქართველებისაგან.»

— „საქართველოს უკვდავ მუშაკს. სამესხო-საათაბაგო.»

— «სერგეი მესხს ქუთაისის ახალგაზდობისაგან:

«ვგრძნობდი სიკვდილსა, თან მომდევდა მარცო სიმართლე,
«უკანასკნელად ამ სოფელსა გუთხარ მშვიდობა
«და მიხაროდა სიკვდილის წინ უცანჯველობა».

— «სერგეი მესხს. ქუთაისის ვაჭრებისაგან.»

— «სერგეი მესხს. ქუთაისის კლასიკურის გიმნაზიის მოსწავლეთაგან:

«შენ გაიარე ქვეყნის გზა ძნელი
«და გაუდექი ახლა სხვა გზასა
«მამულის შვილო მხარე მშობელ
«არ დაივიწყებს შენსა ამაგსა.»

— «დაუვიწყარს სერგეი მესხს. «დროების» რედაქცია.»

— «სერგეი მესხს. «დროების» ამწყობლებისაგან:

«დროთ, კაცთ შეუღლისგან იტანჯვიდი ხშირად მართალი,
«რომ აღგედგინა მაღალი ზნე და სამართალი.»

— «დაუღალავს მოღვაწეს. გაზეთი «შრომა»:

«არა ჩვენ ვსცრემლობთ მარტონი, სტირიან ყმანი მხცოვანნი
«ნუ შეგშრინ ცრემლნი თვალთაგან და გულთა მისი ხსოვანი.“

— «სერგეი მესხს გაზეთი, «შრომის» ამწყობთაგან:

«სულ წვალებაში განლიე
«თოთხმეტი წლისა დღენია,
«სცდილობდი მუშათ შველასა,
«სადაც მიგწვდოდა ხელია.»

— «სერგეი მესხს, «ქართული ბიბლიოთეკა“:

«დაგნატრით შენ რომ სიცოცხლე შენის
«შენსა მამულსა შესწირე მსხვერპლად.»

— «სერგეი მესხს. ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლა:

«შენი თავ-განწირული შრომა გულს ჩაგვებეჭდა სამაგალითოდ».

წერილი სურამიდამ, 24 ივლისს. ლიტერატურის ერთგულის მშრომელის და თავდადებულის სერგეი სვიმონის-ძის მესხის გარდაცვალებით—გულითადი მწუხარენი უმორჩილესად გთხოვთ, ბ. რედაქტორო, გარდასცეთ თქვენის გაზეთით მეუღლეს და ნათესავთ განსვენებულისას ჩვენი ულრმესი მწუხარება.

სონ. ციციშვილისა, ანნა ყიფიანისა, ლუარსაბ ყიფიანი, ალექსანდრე ციმაკურიძე, ლუარსაბ ციციშვილი, პეტრე ციმაკურიძე, გიგ. ამირეჯიბი.

რედაქციას მოუვიდა აგრეთვე ბევრის კერძო პირისაგან თანაგრძნობის წერილები და ტელეგრამები.

კვირას დილით, 24 ივლისს, ეპისკოპოსმა ალექსანდრემ სამღვდელოებითურთ გადაიხადა პანაშვიდი ქალოუბნის ეკლესიაში სერგეი მესხის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი გათავდა გალობით «საუკუნოდ იყოს ხსენება მისი!», რომელ სიტყვებსაც ეხლა მთელი მკითხველი ქართველობა ამბობს.

ახალი ამბები.

ცხენის რკინის გზის კამპანია ძალიან მარჯვედა მუშაობს. ჯერ ორი კვირაც არ გასულა ახალის ხაზის გაყვანის შემდეგ ერევნის მოედანსა და ვორონცოვის ძეგლს შუა და 27 ივლისს, ოთხშაბათს, კიდევ აპირებენ ახალის ხაზის წესიერად გახსნას ერევნის მოედანსა და ვერას შუა. ამ გზაზედ ჯერჯერობით ოთხი ვაგონი ივლის. საცდელად ვაგონები ეს ორი დღეა რაც დადიან. ვანიერ გოლოვინის პროსპექტს ძალიანა შვენის ცხენის რკინის გზა, მაგრამ ვიწრო სასახლის ქუჩაზედ ორი წყვილი რელსებისა როგორ მოთავსდება,—არ ვიცით.

ჩვენა ვნახეთ «წერა-კითხვის საზოგადოებისათვის» თ. მინგრელსკისაგან შემოწირული სურათი შოთა რუსთაველისა, რომელიც ძალიან ცხოვლად არის დახატული და სიდიდითაც ყველა რუსთველის ცნობილ სურათებზედ მეტია. სურათს ძალიან უხდება ძვირფასი შავი ჩარჩო.

ჩვენ მოგვივიდა «Iვერიის», მე 5 და მე 6 წიგნი ერთად გამოცემული შემდეგის, შინაარსით «წამება ქეთევან დედოფლისა», დრამა მაჩხუბარიძისა, დასასრული; «სხვის ფიქრები», ლექსი თ. რ. ერისთვისა; «წერილები ლორენცო ბენონისა» გაგრძელება; «სამი ძველი ვარიანტი ქართულის ოთხთავისა, ანუ სახარებისა», დ. ბაქრაძისა; „ღამის მეხრე», ლექსი თ. რ. ერისთვისა. «შინაური მიმოხილვა».

მივაქცევთ მკითხველების ყურადღებას შემდეგს რედაქციის განცხადებას: «ამ ნომრიდამ დაწყებული ჟურნალის «Iვერიის» რედაქტორად იქნება მხოლოდ I. ჭავჭავაძე.

გაზეთი „მელუ“ ამბობს, რომ თბილისის გარშემო სოფელს ნაზარგორას, წყნეთს, წავკისს და შავნაბადას გაჩენილა კალია. თუმცა ეხლა ყანები დამკილია, მაგრამ თუ ზომები არა მიიღეთ-რა მერმის ამ კალიას შეუძლიან დიდი ზარალი მოიტანოსო.

ქუთაისში მოსულა ინჟინერი, რომელმაც აშენა რკინის გზა სამტრედიიდამ ნატანებამდე. ეს ინჟინერი მომავალის აგვისტოდამ ტყიბულის გზის გაყვანას შეუდგება.

ხონიდამა სწერენ «კავკაზს», რომ ხონსა და ქუთაისს შუა გუბისწყალზედ გაკეთებული ხიდი მეტად დაძველებულა და მასზედ გავლა საშიშია თურმე.

Iქიდამვე სწერენ იმავე გაზეთს, რომ ორის კვირის წინად მეხს სამი ძმა მოუკლავს და მეოთხე დაუყრუებია. Iმავე დღეს სამეგრელოშიაც ჩამოვარდნილა მეხი, ხონს ახლო, და ბევრი დაუზიანებია.

1853 წელს რუსის მწვალებლებს (раскольники) აღეკრძალათ კავკასიაში გადმოსახლება. ეხლა მინისტრთა კომიტეტს გადაუწყვეტია ამ აღკრძალვის გაუქმება და 50 მწვალებელი ამ გაუქმების ძალით გადმოსახლებულან კავკასიაში (Р. Кур).

ამ დღეებში გადაწყვეტილა, რომ 25 ბეგს ყარსისა და ბათუმის მაზრისას, რომელნიც ბერლინის ტრაქტატის ძალით რუსეთის ერგო, დაენიშნოს საშვილი-შვილო პენსია 7840 მანათი. ეს პენსია მიეცემათ რუსულის ფულით 13 ივნისიდამ 1878 წ. მსურველთ შეუძლიანთ თავიანთ ხვედრი თავნად აიღონ. ამას გარდა რომელიც კი ოსმალეთის მმართებლობის ქვეშ პენსიას იღებდა და შემდეგ რუსეთის ქვეშევრდომობას მიღებისა, დოკუმენტები ვერ წარმოადგინა ამ პენსიით სარგებლობისა, შეუძლიან ეს დოკუმენტები ორის წლის განმავლობაში წარმოადგინოს და თუ საიმედონი აღმოჩნდენ, მაშინ მიეცემათ პენსია, არა უმეტესი იმაზედ, რასაც ოსმალეთის მართებლობის დროს იღებდენ.

ერთი ნემეცური გაზეთი ამბობს, რომ ყირიმისა და კავკასიის ღვინოები თან-და-თან გავრცელდენ ევროპაში. ასი ათასამდე ბოჩკა ამ ღვინოებისა ყოველ წლივ მიდის საფრანგეთში და ირქმევენ სახელს შატო-ლაფიტისას, მარგოსას და სხვ. ეს ღვინოები რუსეთში ერთი-ათად მეტს ფასს იღებენ, სანამ ადგილობრივ აიღებდენ.

22 Iვლისიდამ მუშტაიდში უფასო კონცერტები დაიწყო კვირაში სამჯერ: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

რუსეთი

— დიდი ხანია, რაც რუსეთში მოქმედობს კასაციის კამისია, რომელსაც მინდობილი აქვს მთელის რუსეთის ადგილობრივის წეს-წყობილების შეცვლა. ეხლა ამ კომისიას შეუმუშავებია ამ წესწყობილების მუხლები და შეუდგენია განმარტებითი შენიშვნები ამ მუხლებისათვის. ეს შენიშვნები მალე დაიბეჭდება თურმე.

— «თოთხმეტის წლის კეთილო მოღვაწევ, გაზეთის «დროების» სამაგალითო მშრომელო და პატიოსანო კაცო, სერგეი სვიმონის-ძევ მესხო საუკუნოდ იყოს ხსენება შენი. ე. ხელაძის სტამბა.»

ამათ გარდა შემდეგს კერძო პირების გვირგვინებიც იყო:

— «სერგეი მესხს. გიორგი წერეთელი.

«საქმეთა შენთა აღგიგეს უკვდავი ძეგლი ჩვენ შორის!»

— «სერგეი მესხს. ანტონ ალოისძე დე-კამპოკასსო.

«არ არის მკვდარი, ვინც მოკვდეს და ხალხს შესწიროს დღენია,
«მკვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ სახელი არ დარჩენია».

სანამ პანაშვიდი გათავდებოდა სობოროს და სობოროს წინ ფართო მოედანი სულ ხალხით გაივსო. ცხრა საათზე გვირგვინები დაეწყვნენ მოედანზე... მგალობლებმა დაიწყეს «სულთა თანა აღსრულებულთასა...» და კუბო გამოასვენეს ეკლესიიდამ. კუბოს მოჰყვნენ ქრისტეფორები და ათასი ხალხი. ხალხს უკან მოსდევდა მუსიკა.

პროცესიამ, აუარა ბაღს, მერე გაემართა პოლიციის გვერდით და კათოლიკების ქუჩით იმ ადგილამდის, საცა ებრაელების ახალი სინაგოგა შენდება; იქ გადუხვია ვიწრო გზაზე, რომელიც ველათს მიდის და როცა ქალაქის სამზღვრამდის მოვიდა, კუბო დაასვენეს და საზოგადოება გამოეთხოვა განსვენებულს. აქ წარმოითქვა რამდენიმე სიტყვა. პირველად გამოესალმა განსვენებულს მისი ძველი მეგობარი, გაზეთ «დროების» დამფუძნებელი გ. ე. წერეთელი.

სიტყვა გიორგი წერეთლისა.

«ოჰ, ვით ძნელ არს მეგობრისთვის მეგობარსა როს მარხვიდეს!..» გული კვდება, სული იტანჯვის, ძმაო სერგეი, შენის ცხედრის შემხედვარე. რად გამოაკლდი შენს ტოლსა და ამხანაგებს, რომელნიც შენის მხნე შრომით და მამაცურის თავ-განწირულებით იყვნენ გულ-დაიმედებულნი საქველ-მოქმედო ასპარეზზედ? რად ჩასვი წყვდიადს ბნელში შენის შვილობით სახელ-განთქმული მშობელი და ერთგული ცხოვრების მეგობარი? რად დასწვი და დასთუთქე ასე უწყალოდ შენი აღმზრდელი მკერდი, რომელსაც ოქროთი უნდა მოეჭედოს თავები მაგ შენისთანა ღირსის მამულის შვილის გამოზრდითა. აწ საქართველოში ისეთი წერა-კითხვის მცოდნე არ მოიპოვება, რომ სერგეი მესხის სახელი არ გაეგონოს, მისის მამაცურის სიტყვებით გულში არ ჩაევარდნოდეს მამულისადმი წმიდა სიყვარული...

თოთხმეტის წლის განმავლობაში ამ ქველ-მოქმედმა კაცმა აუტანელის ჯაფით აწარა მაღლა ქართულის ლიტერატურის დროშა. არც ერთი კაცი არ მოიძებნება ჩვენ შორის, რომ არ გრძნობდეს ამ დიდს ღვაწლს; მაგრამ ჯერ კიდევ არ დასდგომია დრო მას ღირსეულად დაფასებისათვის. ვერც ერთი თქვენთაგანი იმ საშინელს ჯაფას და თავ-განწირულებით ბრძოლას ვერ წარმოიდგენს, რაც მე და ჩემს ამხანაგებს გვინახავს და გამოგვიცდია სერგეი მესხთან შრომაში.

ქვირის-კვირობამდის, თვის-თვობამდის, დღე-ნიადაგ უძილობა, მუდამ რკინის მტვერში ყოფნა და მისი სუნთქვა, იმ მძიმე ჰაერით ფილტვებას ლპობა!

ვის არ ახსოვს სერგეი მესხის თურაშაულ ვაშლივით აწითლებული ლოყები, მისი ლამაზი სახე და სიცოცხლით აღვსილი დიდრონი თვალები; მისი ქორფა და ჭეშმარიტად გმირული ტანის აგებულება; ამასთანავე მისი სულის სიმტკიცე, ყველასგან საყვარელი და მიმზიდველი ხასიათი; მისი გამჭრიდავი სიტყვა, რომლითაც ის დიდსა და პატარას ყურში ჩასძახოდა: დრო არის, განვიღვიძოთ, დრო არის აღვადგინოთ ჩვენი სამშობლო ენა...

მას მიერ ტარებულს დროშის ქვეშ შედიოდენ აღრჩეულნი მუშაკნი, სიყვარულით და პატივისცემით უდგენ მხარში მას და ერთგულად მუშაობდენ ჩვენის ერის გამოსაღვიძებლად. მაგრამ ფრიად მძიმე შეიქნა მედროშესათვის იმისი ტვირთი. Iგი მაშვრალი ნელ-ნელა სუსტდებოდა ამ სახელოვანის დროშის ტარებითა. ერთის მხრით რკინითა და ტყვიით დატვირთული სტამბის ჰაერი ჰგლეჯდა ნელ-ნელა მისს ფილტვებსა; დაუღალავი მისი მარჯვენა თან-და-თან სუსტდებოდა; მისი თურაშაულ ვაშლივით წითელი ლოყები გადიქცენ ყვითელ სანთლის ფერად, რომელიც წმიდა მსხვერპლად დნებოდა სამშობლოს საკურთხევლის წინ.

დასუსტდა მისი მარჯვენა, გავარდა ხელიდან დიდებული დროშა და აჰა, გულ-გარღვეული მდებარებს იგი უძრავად ჩვენს წინაშე. ვსტიროდეთ, ძმანო, ამ პატივცემულის კაცის უდროვოდ დაკარგვას. ვსტიროდეთ, დასნო, მამულის—ერთგულნო, რომ ჩვენს წრეს გამოაკლდა ერთი საუკეთესო მშრომელი!

ნეტავი იმ დედის გულს, რომლის ძენიც სამშობლო მამულს დაუმტკიცებენ მსხვერპლით სიყვარულს. საქმე—მან შენმან აღგიგო, ძმაო, უკვდავი ძეგლი; საუკუნო იყოს შენი ხსენება!

— ოდესულ ზაფხულს რუსეთის ქალაქებსა და სოფლებს საშინლად ეხარებს ტენცხლი, რადგან რუსეთში უფრო ხის შენობაა და სახლებიც ასლო-ასლო არიან ერთმანერთთან. როგორცა სწერენ, შინაგან საქმეთა სამინისტროში დაწესდება კომისია, რომელსაც მინდობილი ექნება, შეიმუშავოს ის წესები, რა წესებითაც შეიძლება ტენცხლისაგან მოტანილის ზიანის შემცირება.

— რუსეთში ჯარების მოკრეფის დროს, იმდენი ცალ-თვალა გამოჩენილა თურმე, რომ სამხედრო ექიმებს გადაუწყვეტიათ,—ცალთვალობა ნულარ გაანთავისუფლებს კაცს სალდათობისაგან, თუ კი სხვაფრივ კარგის აგებულებისა არი სო.

— შინაგან საქმეთა სამინისტრო შესდგომია თურმე მოსამსახურე პირთა დანიშნას მთელის რუსეთის ფაბრიკებისა და ქარხნების სარეკვიზიოდ და მეტადრე მუშა-სალხის ყოფა-ცხოვრების გასაცნობად ამ ფაბრიკებსა და ქარხნებში.

— ბუსარის ემირს მიუცია ნება რუსის ჯარისათვის იმის სამფლობელოზედ გავლისა და თუნდა მერვისკენ, თუნდა ავგანისტანისკენ გამგზავრებისა. ემირი დაჭმირებია ამ გვარ მოგზაურობისათვის ჯორებს და სურსათს.

— როგორც ტელეგრამებიდამ ვიცით, მთავრობას გადაუწყვეტია ხარჯის მომატება იმ ვაჭრებისა და ქარხნების პატრონებისათვის, რომელთ შემოსავალი გადაწყვეტილს ნორმას აღემატება. ამ გვარს ხარჯის დადებას ძალიან კარგად უმოქმედნია სამზღვარს გარეთ, ასე რომ რუსეთის ქალალდებსა და ფულს ფასი მომატებია. სამზღვარ გარეთ თურმე ჭკონიათ, რომ ამ ზომას მოჭუბა მთელის სარჯის გაწერის წესის შეცვლა.

— პეტერბურღში შემოდგომისათვის 2500-მდე უმაწვილი ქალი და კაცი აპირებს თურმე უმაღლესს სასწავლებლებში შესვლას, მათ შორის 400-მდე უნიკერსიტეტში და 400-მდე საექიმო აკადემიაში, მაგრამ ადგილი ამ სასწავლებლებში მეტად ტოტა არისო.

— სალხის განათლების მინისტრს ნება მიუცია, რომ მოძავალის წლიდამ რვალეურ სასწავლებლებთან აგრონომიული განყოფილებაც იყოს გასსნილი.

— 12 იკლისს, არხანგელსკში მომკვდარა ადრიან ბუშკინი, რომელიც ბუშკინის სექტის მოთავე იყო და რომელსაც მთელი რუსეთი იცნობდა, როგორც ენერგიულს და თავის სიტუკაზედ მტკიცე კაცს.

— ზღვათა სამინისტროში თურმე ლაპარაკია იმაზედ, რომ შავის ზღვის გემებში ქვა-ნახშირის მაგიერად ნავთი სწვან.

— სამხედრო მინისტრი ღენერალი ვანოვსკი თურმე რეკვიზიციზმით ძალიან ავად არის, ასე რომ ჯანმრთელობის აღსადგენად სამზღვარს გარეთ წასვლას საჭიროობს.

უცხოეთი.

—

ერთის ნემეცურის გაზეთის სიტუკით, ეხლა სხვა-და-სხვა სასელმწიფოთა შორის მოლაპარაკებაა მასზედ, რომ დაარსონ საღსთა-შორისი სახელმწიფოები, რომელსაც ეტუობინებიან ოდესულ გვარს ზომას გადამდებ ავადმყოფობის წინააღმდეგ მიღებულს, რომელსაც ნება ჭქონდეს ცალკე სასელმწიფოებს კალად დაადგეს ცნობილის ზომების მიღება ამ ავადმყოფობათა ასაცილებლად. ეს რჩევა უნდა იყოს ან ენევაში, ან ლუგასოში.

ინგლისის მმართველობაც მიჭყოლია ინგლისის საზოგადოების ერთის ნაწილის სურვილს და უფრო იმ აზრს დასთანხმებია, რომ ლამანშის ტუნელის გაკეთება ინგლისის დამოუკიდებლობისათვის საშიში იქნებაო.

ალზასში ნემეცებმა შეამცირეს ფრანცუზულის ენის კურსი საშუალო სასწავლებლებში. ეს იქაურ სალხს ძალიანა სწყენია და რამდენჯერმე პროტესტი გამოუცხადებია. სხვათა შორის ორს დაწესებულებას უთხოვნია მთავრობისათვის, რომ პროტესტანტის გიმნაზიებში მოუმატონ ფრანცუზულის ენის გაკვეთილებს.

ამას წინად ირლანდიაში შემდგარი იყო სიდუმლო საზოგადოება, რომელმაც მკვლელობით და შენობების აფეთქებით ზარი დასცა მთელს ინგლისს. ერთმა წევრმა ამ საზოგადოებისამ, ჯემს კერიმ, გასთქვა თავის მოამხანაგენი და ბევრი მათგანი საღრჩობელაზედ აიყვანა. ირლანდიელებმა ამ კაცის სასელი გულში ჩაიბეჭდეს და გადასდას დაუმუქარნენ, შეუსრულებიათ კიდეც ეს მუქარა. ირლანდიელ ო-კონელს მიუსწერია კერისთვის ერთს გეშზედ და დამბაჩით იქვე სული გაუფრეენებია.

სასამართლოს განაჩენი ტისალარის საქმის თაობაზედ [illegible] ტოს გამოცხადებაზე [illegible]

ინგლისის მინისტრს ჭარტინგტონს გამოუცხადებია დეპუტატთა პალატაში ხვეულებრივის დიპლომატიურის ენით, რომ ინგლისის ჯარის მდგომარეობას ეგვიპტეში საზოგადოდ არა უჭირს-რა, ხოლერა ცუდის თვისებისა არ არის და კაირში ესლა უფრო საბუგეშო ნიშნებია ხოლერისაო.

ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის საგენტოსი.»)

პეტერბურღი, 23 იკლისს. გაზეთს Русскій Курьеръ-ს გამოეცხადა პირველი გაფთხილება მავნებელ მიმართულებისათვის სახელმწიფო წყობილებაზედ სჯის დროს და გლეხ-კაცობის მდგომარეობის ავად წამოდგენისათვის იმ აზრით, რომ ხალხში მღელვარება დაბადოს.

ლიბავა. ლიბავაში მიმავალი შეძლებული მემამულე ნოლდე თოფით მოკლეს; იმის მოკვლა ადრევე უოფილა განზრახული, რადგან ბორტ-მომქმედებს მოეჭრათ ის ბუჩქები, რომელნიც გზასა მალავდენ. ნოლდესთან ერთად ეკიპაჟში მჯდომი ტყის მცველი ტყვიას გაუკაწრავს.

ხარკოვი. კურსკო-აზოვის რკინის გზაზედ სანიტარული წესები შემოიღეს; ვოგზალები გაასუფთავეს; მოსამსახურე პირთ წამ-

---

როცა ბიორგი წერეთელმა გაათავა სიტყვა, წარმოსდგა ბატ. ცერცვაძე და ძუთაისის ვაჭრების სახელით მიმართა განსვენებულს შემდეგი სიტყვა:

სიტყვა ქუთაისის ვაჭრების წარმომადგენელის სვიმონ ცერცვაძისა

აჰა, შენ, მამულის ერთგულო შვილო, სერგეი! აჰა! გვირგვინი ყვავილებით შემკულის დაფინსა, ნიშნად გამოუთქმელის შენდამი თანაგრძნობისა ძუთაისის მოვაჭრეებისაგან. ჩვენ, თანამგრძნობელნი შენის დაუფასებელის ჩვენდამი ღვაწლისა, დავსცქერით რა შენს უენოდ მდებარე გვამს,—და თან თვალ-წინ წარმოვიდგენთ შენს აურიცხველს ღვაწლს, რომლისათვისაც დასთმე ყოველი შინაურული თავისუფლება, ახალ-გაზდური ქვეყნისადმი ცელქური ლტოლვილება, სიმდიდრის ძებნა; რომლისაგანაც შენ ჯერ ისევ ახალ-გაზდა შეიქენი მსხვერპლად—წარმოვიდგენთ რა ყოველს ამას, ვივსებით გამოუთქმელის ჭმუნვითა და ვაებითა.

უნდა გავსტყდე და ვსთქვა, საყვარელო ძმაო სერგეი, რომ, ბევრმა ჩვენთაგანმა მხოლოდ მაშინ დაინახა თავისი თავი ქვეყნის სარკეში, მხოლოდ მაშინ გაიცნო თავისი ვინაობა, როდესაც შენ შენი გაზეთი გავაკან. ბევრნი ჩვენთაგანნი, რომელნიც ჩხირით ძლივს არჩევდენ ნაწერს ასოებს, ახლა, როდესაც შეაყარე შენი გაზეთი და ყური ადევნეს შენს წვრთნას და ქადაგებას,—შეიქმნენ გამოცდილნი და შეგნებულნი მამულის-შვილნი. ბევრმა ჩვენის სამშობლო საქართველოს კუთხეებიც კი არ ვიცოდით რიგიანად; ეხლა კი, შენის გაზეთის მეოხებით, ვიცნობთ არა თუ ჩვენს სამშობლოს, არამედ მთელს ქვეყანას კიდით კიდემდე. და თუ ეს ასეა, თუ ამ ცოდნამ შემდეგშიაც უფრო კიდევ უმეტესად გაიდგა ფესვი ჩვენს შორის, თუ დავუახლოვდით სწავლა-განათლებას, ამის მიზეზი მაინც კიდევ შენ იქნები. და მაშინაც შენ უფრო უმეტესად გეკუთვნის პატივი ჩვენგან, რადგანაც შენ ჩაჰყარე პირველად შენის გაზეთის საშუალებით ჩვენს გულში საძირკველი სწავლა-განათლების სურვილისა, და შენ გამოგვადგმევინე პირველი ნაბიჯი ბნელის ბურუსიდან.

თუმცა შენმა ამოდენა თავ-განწირულმა შრომამ ამაოდ არ ჩაიარა და სინათლე მოჰფინა ჩვენის ცხოვრების გზასა, მაგრამ, სანაცვლოდ—წაერთვა სამშობლოს შენისთანა ძვირფასი შვილი, შვილი, რომლისაგანაც მოველოდით კიდევ უფრო მეტსა...

ასე სრულდება ნება შემოქმედისა! და რადგან აღარ შეგვიძლიან არა-რა გოდებით, არა-რა სასყიდლით დახსნა სიკვდილისაგან ჩვენის საყვარლის და პატიოსანის მოღვაწისა, მიეცეთ, ძმანო, მაინც ამას თავისი ღირსეული ამა ქვეყნად პატივი და შევავედროთ ღმერთსაც, რათა განუსვენოს სულსა ამისსა სასუფეველსა ცათასა, იქ, სადაცა განისვენებენ პატიოსანნი მამულის-შვილნი და ჩვენც საბადლოდ ამისა მოგვეცეს კელავაც კიდევ ამისთანა სვინიდისიანი და პატიოსანი მამულის-შვილები.

შემდეგ ილაპარაკა ვ. ს. მიქელაძემ. სამი თვეა, რაც ჩვენ გამოვესალმეთ ნადიმობაზე ამ კაცსაო, სთქვა ატირებულის ხმით ორატორმა. მაშინ ყველა ჩვენგანს იმედი გვქონდა, რომ ის ოდესმე ხელ-ახლად შემოვიდოდა ჩვენს წრეში, ხელ-ახლა აიღებდა იმ კალამს, რომლითაც ემსახურა ჩვენს საზოგადოებას თოთხმეტის წლის განმავალობაში და განაგრძობდა მსახურებასაო, მაგრამ ნაცელად ამისა ჩვენ დღეს დავმზერთ მის კუბოსაო. ყველამ ვიცით რა ძვირფასის სარგებლობის მოტანა მიუძღვის განსვენებულს ჩვენის საზოგადოების. წინა შე.ი მვიათია ესეთი დაუღალავი და გამტანი მუშაკი. ჩვენი საზოგადო ასპარეზზე მომქმედი პირები ფულმოდგინედ ეკიდებიან საქმეს, მაგრამ იმათი გულმოდგინება ორ-სამ წელს იქით არ გასტანს ხოლმე და განსვენებულმა კი თოთხმეტი წელიწადი აიტანა ჯაფა, სანამ ზედ თავი არ დააკლა მისგან შეყვარებულ საქმესაო...

უკანასკნელად ილაპარაკა ბატ. ე. მჭედლიძემ, გაზეთის «შრომის» თანაშემწემ. ყველაზე უფრო კარგად მისის მოქმედების დამფასებელი მისივე ნაწერები არისო, მისგანვე წარმოთქმული სიტყვებიო, სთქვა ბატ. მჭელიძემ განსვენებულზე. როცა მან გადააკლო თვალი ამ ნაწერებს, იქ იპოვა, სხვათა შორის, განსვენებულისგან წარმოთქმული მწარე სიტყვები... ორატორმა კარგად განმარტა ეს მშვენიერი სიტყვები და დაბოლოვა «სიტყვა».

უკანასკნელად ჩამოიღოცა სამღვდელოებამ (არ ვიცით, რატომ, მაგრამ ბაბრიელ ეპისკოპოსი არ იყო გასვენებაზე), უკინასკნელი სალამი მისცა ქალაქმა განსვენებულს და კუბო დაასვენეს ფაეტონზე—(ძუთაისში ჯერ ბალდახინები არ არის). ქუჩერმა დაჭკრა მათრახი ცხენებს და საუკუნოდ მიგვეიღო თვალთაგან ძვირფასი კაცი, რომლის დაკარგვას ჩვენ ვტირით.

საუკუნოდ იყოს მისი ხსენება!

ნ. ვ.

ქუთაისი, 25 ივლისს.

ლები და საექიმო იარაღები დაერიგათ.

პარიჟი. ლიონში სახლების გაჩხრეკამ აღმოაჩინა ლეგიტიმისტების საიდუმლო კომიტეტების არსებობა, რომელთაც მონარხიის აღდგინება განუზრახავთ. გუშინ ანგულემში წამლის ქარხანამ იფეთქა; ექვსი კაცი დაიღუპა; ზარალი ერთის მილიონის ფრანკისაა.

ნეაპოლი. გუშინ ისკიის კუნძულზედ მიწა ხელმეორედ იძრა; ეპომეის მთის წვერი მოსკდა და მიწით დაფარა სოფელი ფორიო; რამდენიმე სახლი დაინძრა, მაგრამ ხალხი თითქმის სულ გადარჩა.

ლონდონი. საფრანგეთის ელჩის მოლაპარაკება პეკანის მთავრობასთან იმედს არ იძლევა, რომ ჩინეთთან საქმე მშვიდობით გათავდეს.

პარიზი. ანამის ხელმწიფე ტიუდეუკი გარდაიცვალა. ტახტზედ ავიდა რუდაკი. საფრანგეთის ანამში მყოფ ჯარების უფროსი, ლენერალი ბეე, 17 ივლისს გაიფრონგში მოვიდა და საომრად ემზადება.

კაირი. რამაზანის დღესასწაულის გათავების გამო მახმადიანები აპირებენ საფლავების ნახვას, მაგრამ სასაფლაოებზედ ინგლისელების ჯარია დაყენებული და ხალხს არ უშვებს, რომ ავადმყოფობა უფრო არ გავრცელდეს.

პეტერბურღი, 24 იულისს. გუშინ დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე თავის მეუღლით ცოტას ხნით ნოვგოროდში წაბძანდა.

შინაგან საქმეთა მინისტრი დროებით დათხოვნილ იქმნა და სამინისტრო გადასცა მინისტრის ამხანაგს დურნოვოს.

მმართებლობისაგან შეტყობინებულია: 20 ივლისს ეკატერინოსლავში ურიებს ხალხი თავს დაესხა, რადგან ერთმა ურიამ იმ დღეს ქრისტიანი ქალი გალახა. არეულობის დასამშვიდებლად ჯარი გამოიწვიეს; მშვიდობიანობის ჩამოგდების დროს ჯარმა იარაღი იხმარა. აღელვებული ხალხი შესდგებოდა თითქმის მარტო იმ მუშებისაგან, რომელნიც რკინის გზას აკეთებენ. მუშებთაგანი ათი კაცი მოკვდა და ცამეტი დაიჭრა.

სტამბოლი. საეჭვო გემებისთვის ოსმალეთის ნავთსადგურებში დანიშნულია ოცის დღის კარანტინი. იმ გემებისათვის, კი რომელნიც ეჭვ გარეთ არიან,—ოცდა ხუთის დღის კარანტინი.

ნოვგოროდი. დღეს დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე მეუღლით ნოვგოროდში მობძანდა. ხალხმა მათი უმაღლესობა აღტაცებით მიიღო. წარმომადგენელნი პერ-მარილით მიეგებნენ; ხვალ იქნება ჯარის დახედვა, მანევრები და სახალხო სეირნობა.

ხარკოვი. აქედამ ეკატერინოსლავში სამასი ყაზახი გაიგზავნა.

იალტა. ზღვაში ბანაობის დროდადგა; უცხო ხალხი ბევრია; სადგურების ფასმა 40 პროცენტით იმატა; ძალიან ცხელა.

პრესბურგი, (ვენგრიაში). გუშინ სალამოს აქ ურიების წინააღმდეგ არეულობა მოხდა: დიდძალმა ხალხმა უმთავრესს ქუჩაზედ თანაგრძნობა გამოუცხადა დეპუტატს ისტომის, ვენგრიის ანტისემიტების ერთს მოთავეთაგანს. ჯარმა უკან დააყენა ხალხი, მაგრამ ეს უკანასკნელი ხილის მოედანზედ მოგროვდა და ურიების სახლებში ფანჯრები დაამტვრია. ღამის თორმეტ საათზედ წესიერება ჩამოვარდა. მაგისტრატმა გამოაცხადა, რომ ხალხის შეკრებულების წინააღმდეგ იარაღს ვიხმართო.

განცხადებანი

—

ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

შეადარეთ ჩვენი ჩაი				მოსკოვის ჩაის			
		1 მ.	10 კ.			1 მ.	40 კ.
—	—	1—	20	—	—	1—	60
—	—	1—	40	—	—	1—	80
—	—	1—	60	—	—	2—	,,
—	—	1—	80	—	—	2—	50
საუკეთესო		2—	,,	—	—	3—	,,

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები—კაცის და ქალის, სულ-სახოცები, მაკინტოშინ კლენკორი—სულ უველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1.000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, ჯასაგზავნს არაფერს არ ისდის. (100—10)

ინგლისური რკინის პრავოტები



ერთ საწოლიანი 8 მ. და ორ საწოლიანი 14 მ., ლეიბები გატენილი ზღვის ბალახით 5-დგან—9 მან. ინგლისურს მაღაზიაში. იქვე ისყიდება 25% ათეულ სასამ სხვაგან სადმე. ჭურჭელი, დასახანგალი, კოვზები, ფანდოსები, კლიტეები, ხაფანგები, რკინის კალმები, ქაღალდი, ნიჩბები, რევოლვერები, თოფები, კაცისა და ქალის უნაგირები, ალბომები, კლეონკები, ჩაი 1-ლის ხარისხისა. (100—95)

ინგლისის მაღაზიაში

თბილის-ამომაყვანი

ამგვრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

(100—11)

მაკ-მასტერი

აქვე ისყიდება ქინის ზომა-თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის სა-პონი, დუნები და სხვ.

საგლობუსო  კალმები

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთო ქაღალდი. ერთად-ერთი საგენტო—ინგლისის მაღაზია. იქვე აუარებელი სხვა-და-სხვა გვრის კალმები, ოქროვლის „სელისათვის“—25% ათად, ვინემ სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კონვერტები, რეფულები, ლაქი, კარანდაში, ფანალი, კალმები, ბუმაგნიგები. ბორტ-სიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამარეთებლები, სანთელი, სალესი, ტარაშკები ჭურჭლების საწმედად (ბორაკსი), თეთრეულისათვის, ბატარა ხალეი, ანტაკისათვის კლიონკები. ტასტები, სავარძლები, სარკეები, სავარცლები, ბუზმენნი, ზარები, ბინოკლები ოულეტკები, ვატერპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, ძეწკვები, ნემსები, მაგნატები, სკისტოკი, ბომბჩი, ქამრები, სარტულები. სუელური, ბრობკები, საბრობკები, კრანები, ფილტრები, შჩოტკები, თავის. ტანისამოსის, ცხენის და ბატენტიანი მაკინტოშები, კრაგები, საქმე ქაღალდი კატერ-კლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

პატაუკი—20 კ. (100—52)

ქართველი სტუდენტი აბ. ჩარკ. ეძებს გაკვეთილებს. ქუთაისი. ადრესი ჭილაძის წიგნის მაღაზია. (3—3)

მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 16 ივლისიდამ 1 აგვისტომდე 1883 წ.

გამომცხვარი ბური რუსეთის ფქვილისა	—	—	1	გირ.	5 ჯ.
ყაზარის ფქვილისა: პირველის სარისხისა	—	—	1	ბ.	3 ჯ.
მეორისა	—	—	1	ბ.	2½
იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:					
პირველის სარისხის	—	—	1	ბ.	5 ჯ.
მეორისა	—	—	1	ბ.	3½
მესამისა	—	—	1	ბ.	3 ჯ.
ჯაარის-მამის ბური:					
პირველის სარის. ლავაში			1	ბ.	5 ჯ.
მეორის სარის. ლავაში			1	ბ.	3½
მესამისა	—	—	1	ბ.	3 ჯ.
ძროსის სორტი:					
პირველის სარისხის	—	—	1	ბ.	8 ჯ.
მეორის	—	—	1	ბ.	7 ჯ.
სუკი	.	.	.	ბ.	15 ჯ.
ცხენის სორტი	—	—	1	ბ.	7 ჯ.

რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის 9 საათზედ და 46 წამ. დილით.

თბილისიდამ ხაშურამდინ 2 საათ. და 54 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდამ ბაქოსკენ 1 საათზედ და 1 წამ. ღამისა.

ბაქოდგან თბილისისკენ 9 საათზედ დილისა.

რიონიდგან თბილისისკენ 2 საათზედ და 30 წამ. ნაშუადღევს.

ბათუმიდგან თბილისისკენ 9 საათ. დილისა.

ფოთიდგან თბილისისკენ 9 საათ. და 41 წამ. დილისა.

ფოთიდამ ბ ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის 12 საათზედ ღამისა.

ბაქოდამ მომავალი შემოვა თბილისში 8 საათ. და 46 წამ. დილისა.

Дозв. цензурою Тифлисъ, 26 Іюля 1883 г. ეკ. ხელაძის სტამბა. (Типографія Е. Хеладзе.) გამომცემელი ბ. ჭართველი შვილი. რედაქტორი ი. ძაჩაბელი.